საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 9 23 0000545104

16/05/2023

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "რუსული ფილოლოგიის" (რუსულენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისაკრედიტაციისმინიჭების შესახებ

1.გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1.„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3 აკრედიტაციის დებულების 27^5მე-7^1პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2.აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1.სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2022 წლის 28 დეკემბრის №№19394/01-06-03 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის - №№1671009, 28/12/2022) წარმოდგენილია სააკრედიტაციო განაცხადი "რუსული ფილოლოგიის" საბაკალავრო, "რუსული ფილოლოგიის" (რუსულენოვანი) საბაკალავრო, "სლავური ფილოლოგიის" სამაგისტრო, "სლავური ფილოლოგიის" (რუსულენოვანი) სამაგისტრო და "თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის თაობაზე.

2.2. ცენტრის 2022 წლის 30 დეკემბრის №1684368 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის 2023 წლის 26 იანვრის №82266 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2023 წლის 30, 31 იანვარს და 1 თებერვალს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი უნივერსიტეტში. აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2023 წლის 28 აპრილს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექპსერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

3.სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,აკრედიტაციის საბჭომ 14 ხმით არცერთის წინააღმდეგ

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "რუსული ფილოლოგიის" (რუსულენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

1. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "რუსული ფილოლოგიის" საბაკალავრო, "რუსული ფილოლოგიის" (რუსულენოვანი) საბაკალავრო, "სლავური ფილოლოგიის" სამაგისტრო, "სლავური ფილოლოგიის" (რუსულენოვანი) სამაგისტრო და "თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
2. ცნობილ იქნას საბჭოს 2023 წლის 16 მაისის №544968 სხდომის ოქმის №05 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
3. საბჭომ ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები განსაზღვრა შემდეგნაირად:

რეკომენდაციები:

4.1 რეკომენდირებულია, გადაიხედოს და განახლდეს სახელმძღვანელოთა ნაწილი, ჩანაცვლდეს მოძველებული სახელმძღვანელოები, ზოგ შემთხვევაში კი დაემატოს სახელმძღვანელო, რომელიც უკეთ იქნება მორგებული კურსის სპეციფიკას, გადამოწმდეს ყველა იმ ელექტრონული ბმულის ვალიდურობა, რომელიც სილაბუსებშია წარმოდგენილი.
4.2 რეკომენდირებულია სილაბუსებში მოცემული დავალებების, პრეზენტაციების, საგამოცდო თეორიული საკითხების ზუსტი და მკაფიო ფორმულირება, რათა ნათლად გამოჩნდეს შეფასების კომპონენტის კავშირი სილაბუსში განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.
4.3 მიზანშეწონილია, უზრუნველყოფილ იქნას კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურისა და სხვა სასწავლო მასალის განთავსება ბიბლიოთეკაში, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

რჩევები:
4.4 სასურველია სამიზნე ნიშნულების დადგენისას მეტად იყოს გათვალისწინებული სასწავლო კურსების სპეციფიკა.
4.5 სასურველია სალექციო კურსებში ელექტრონული რესურსების მეტად ინტენსიური გამოყენება, ლექტორ-მასწავლებლების კუთვნილი ლიტერატურის ციფრულ ფორმატში გადატანა, ან ქსეროასლების დამზადება, უნივერსიტეტის სამეცნიერო ბაზების სრულად ათვისება, სხვადასხვა პერიოდული გამოცემებით, ინტერნეტ აუდიოვიდეო რესურსებით სარგებლობა, რაც სტუდენტებს უახლეს მასალასთან გაცნობის საშუალებას მისცემს.
4.6 სასწავლო კურსებში გაძლიერდეს პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობები, რაც სტუდენტებს პროგრამის შესწავლისას შეძენილი ცოდნის, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების, ავტონომიურობის დემონსტრირებისა და ფასეული პრაქტიკული გამოცდილების მიღების საშუალებას მისცემს.
4.7 სასურველია უსდ-მ მეტად გააქტიუროს მუშაობა სტუდენტებისათვის კვლევითი უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი შესაძლებლობების გამრავალფეროვნების მიმართულებით.
4.8 სასურველია სწავლების მეთოდები სილაბუსებში მიეთითოს არსებული რეალური პრაქტიკის შესაბამისად, ასევე, სასწავლო კურსების ფარგლებში თხრობითი და ზეპირსიტყვიერი კარნახის მეთოდები ჩანაცვლებულ იქნას სწავლების მეტად თანამედროვე მეთოდებით, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას, სტუდენტებს შორის ინტერაქციას და მიმართულია სტუდენტის მიერ სხვადასხვა უნარების, მათ შორის - კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე.
4.9 სასურველია გააქტიურდეს სამეცნიერო ბაზების პოპულარიზაციის მიმართულებით მუშაობა, სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და სტუდენტთა ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით.
4.10 სასურველია, რომ სილაბუსებში, სადაც ფინალური გამოცდა ოთხი თეორიული საკითხითაა წარმოდგენილი, ერთი საკითხი პრაქტიკული დავალებით ჩანაცვლდეს.
4.11 სასურველია უსდ-მ წაახალისოს სტუდენტების თვითშეფასების პროცესში პირდაპირი მონაწილეობა, რაც ხელს შეუწყობს მათი ინიციატივისა და ენთუზიაზმის გამოვლენას პროგრამების განვითარების პროცესში.
4.12 სასურველია კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სტუდენტებისათვის მეტი გაცვლითი პროგრამების შეთავაზების მიმართულებით მუშაობის გაძლიერება.
4.13 მიზანშეწონილია, უზრუნველყოფილ იქნას კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურისა და სხვა სასწავლო მასალის განთავსება ბიბლიოთეკაში, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
4.14 სასურველია აკადემიური პასუხისმგებლობის შესახებ პროგრამის მიზნების ჩანაწერის მეტად დაკონკრეტება.

4.15 „რუსული ფილოლოგიის“ რუსულენოვანი საბაკალავრო პროგრამაში სამეტყველო კომუნიკაციისა და სოციალური უნარების გაუმჯობესების მიზნით სასურველია ჩაშენდეს სამეტყველო პრაქტიკა.
4.16 „რუსული ფილოლოგიის“ რუსულენოვანი საბაკალავრო პროგრამაში სასურველია კრედიტების განაწილებისა და საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსაზღვრის პროცესში მეტად იყოს გათვალისწინებული სასწავლო კურსების სპეციფიკა.
4.17 სასურველია გასწორდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე არსებული ტექნიკური ხარვეზი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენის ნაწილში.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 28 აპრილს.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი) Russian Philology (conducted in Russian)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[2]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2011 წლის 28 ოქტომბრის №183
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[5]	მექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	რუსული ფილოლოგიის ბაკალავრი Bachelor of Russian Philology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ენის დაუფლება Language Acquisition
13	სწავლების ენა	რუსული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი[7]	თსუ I კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №1), VIII კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №13)
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2023 წლის 28 აპრილი
18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[8]	-

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია;
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[7] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[8] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2030 წლის 29 აპრილი